ვიხილოთ მთლიანად კავკასია და, კერძოდ, საქართველო. XV ს. მეორე ნახევრიდან, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, მას მართლაც მოუხდა ლოკალური განვითარება, როგორც მუსლიმური ცივილიზაციის ფარგლებში მოქცეულ აღმოსავლეთქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილს. ბალკანეთისა არ იყოს, არც აქ ჩამოყალიბებულა ქართულ-მუსლიმური (ან კავკასიურ-მუსლიმური) კულტურულ-ისტორიული ერთობა. ამდენად, კავკასია და, კერძოდ, საქართველო, საინტერესოა ცივილიზაციათა კონტაქტის შედეგის კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურათა/ცივილიზაციათა კონტაქტის გენერაციულ შესაძლებლობათა საკითხი ცივილიზაციურ კვლევათა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ეს არის საკითხი კულტურათა/ცივილიზაციათა ისეთი ურთიერთქმედების შესახებ, რომელსაც შედეგად მოსდევს ახალი კულტურული რეალობის გაჩენა. წარმოიშობა თუ არა კონტაქტის ზონებში კულტურები, რომლებიც შეიძლება იქცნენ ახალი ცივილიზაციურ-კულტურული ტიპის საფუძვლად? სამეცნიერო (მათ შორის, უახლეს) ლიტერატურაში ამ კითხვის სხვადასხვაგვარ პასუხს ვხვდებით. ეს საკითხი მეტად საინტერესო და აქტუალურია ჩვენთვისაც, რადგან ქართული კულტურა სწორედ ცივილიზაციათა კონტაქტის ზონაში ყალიბდებოდა და მისი ისტორიის ერთ ეტაპზე მას, თითქოს, გაუჩნდა ახალი ცივილიზაციურ-კულტურული ტიპის საფუძვლად ქცევის შანსი (ვგულისხმობთ კავკასიურ კულტურულ ერთობას). ამ საკითხზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

გამოიყოფა კულტურათა/ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობის სამი ძირითადი ტიპი: 1. კონფრონტაცია, 2. სიმბიოზი, 3. სინთეზი.

პირველი ტიპი ემყარება უცხო რეალობის სრულ უარყოფას, სულიერი გამოცდილების სხვა, საკუთარისაგან განსხვავებული ფორმების ტოტალურ მიუღებლობას. ეს გამოცდილება განიხილება როგორც „უცხო", „მტრული", რომელიც ცალსახად უნდა განიდევნოს.

მეორე ტიპი გულისხმობს ვითარებას, როცა თითოეული ურთიერთმოქმედი მხარე ინარჩუნებს საკუთარ სახეს, არ წარმოიშობა ახალი კულტურული თვისობრიობა, მაგრამ კონტაქტში მყოფ კულტურულ რეალობათა შორის ჩნდება სისტემური კავშირი. „ვარეშე"

კულტურული რეალობა კონტაქტის მონაწილეთა მიერ ბუნებრივად იღიქმება; ასეთი არსებობის წინააღმდეგობრიობა არ გაიაზრება. სიმბიოზისათვის დამახასიათებელია ურთიერთმიზიდვისა და ურთიერთგანზიდვის წინააღმდეგობრივი შერწყმა. პირველის ძალა საკმაოდ დიდია იმისთვის, რომ შეიქმნას სისტემური კავშირი კონტაქტის მონაწილეებს შორის, ამასთან, თითოეული მხარე მეორეს აღიქვამს როგორც „უცხოს". ამ უკანასკნელის განზიდვის, მოშორების ხარისხი კი საკმაოდ დიდია, რათა შეიქმნას მკაცრი ზღვარი განსხვავებულ კულტურულ ელემენტთა დაახლოების, შერწყმისა და ახალ, კონტაქტში მყოფთაგან განსხვავებულ თვისობრიობად ტრანსფორმაციისათვის.

სიმბიოზში მყოფ ეთნოკულტურულ ელემენტთა თანაფარდობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: დაწყებული სიტუაციით, როცა უპირატესობა აქვს ავტოქტონურ საწყისს, ხოლო „მოსული" კულტურის ელემენტები არსებობენ ცნობიერების პერიფერიაზე, დამთავრებული მდგომარეობით, როცა მსოფლმხედველობის ღერძად ფასეულობათა „მოტანილი" სისტემა გვევლინება[69].

მესამე ტიპზე – სინთეზზე – საუბარი შეიძლება მაშინ, თუ კონტაქტის ზონაში ჩნდება თვისობრივად ახალი, კონტაქტში მყოფ კულტურულ სამყაროთაგან განსხვავებული კულტურული რეალობა. ასეთი ტიპის მაგალითად ვ.არუთიუნოვა-ფიდანიანი ასახელებს სომეხი ქალკედონიტების კულტურას, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა სამი ტრადიციის – სომხურის, ბიზანტიურისა და ქართულის – სინთეზს, დამყარებულს ადგილობრივ (სომხურ) საფუძველზე[70].

ი.შემიაკინის აზრით, სიმბიოზი შეიძლება წარმოადგენდეს ახალი კულტურული რეალობის ჩამოყალიბების პირველ სტადიას, კულტურათა სინთეზის პროცესის დასაწყისს. მაგრამ შეიძლება იგი

---

[69] Шемякин Я.Г. Межцивилизационное взаимодействие и процесс культурогенеза в Латинской Америке. – Iberica Americans: Механизмы культурообразования в Латинской Америке. М., 1994, с.18-19.

[70] Арутюнова-Фиданян В.А. Византия и Армения в X-XII вв.: Зона контакта. – В кн.: Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики. С.-Пб., 1995, с.391.